აუდიტური კომპანია

10 აპრილი 2018 წელი

№72ა

საბიუჯეტო ფინანსური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამკვეთი:
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
„საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზია და რადიო“

შემსრულებელი:
აუდიტური კომპანია ,,კომპაუდი“
ქ.თბილისი, დ. ბაქრაძის ქუჩა №6
ს/კ 202385169

თბილისი
2018

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ნაწილი I 4

შესავალი 5

1. ძირითადი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა 5

ნაწილი II 6

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 6

2. ორგანიზაციის ბალანსის აუდიტი 6
3. მოგება-ზარალის (ფინანსური შედეგები) უწყისის აუდიტი 8
4. ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი 9
5. ძირითად საშუალებებთან დაკავშირებულ ოპერაციათა აუდიტი 11
6. ანგარიშსწორების აუდიტი 13
7. კრედიტორული და დებიტორული დავალიანების აუდიტი 13
8. 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა 16

ნაწილი III 23

2017 წლის საგადასახადო რისკების აუდიტი 23

9. გადასახადების აღრიცხვისა და დეკლარირების სისწორის დადგენა 23
10. მოგების გადასახადი 24
11. საშემოსავლო გადასახადი 26
12. დამატებული ღირებულების გადასახადი 28

    12.1. უკუდაბეგვრის დღგ 29
13. ქონების გადასახადი 30
14. სახელმწიფო აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევები, რეკომენდაციები და მათი შესრულების მდგომარეობა 32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს წევრებსა და მენეჯმენტს.

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს (შემდეგში „ორგანიზაცია") საბიუჯეტო ფინანსური ანგარიშის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს (ბალანსი), აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს (მოგება-ზარალის ანგარიში), ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს და ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების შესახებ ანგარიშს, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

აღნიშნული საბიუჯეტო ფინანსური ანგარიში „ორგანიზაციის" მიერ მომზადებულია 2014 წლის 31 დეკემბერს ფინანსთა მინისტრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის" მიხედვით.

ფინანსური აუდიტი მოიცავს ბალანსს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი) - ფორმა №1, ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება - ფორმა №2, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება - ფორმა №3, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება - ფორმა №4, ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგება - ფორმა№5, ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №1, ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით ფაქტობრივი(საკასო) ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №3, ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ-ბალანსის დანართი ფორმა №4, ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ბალანსის დანართი ფორმა №5, ორგანიზაციის ანგარიში არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - ბალანსის დანართი №6, ინფორმაცია მიზნობრივი გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ - ბალანსისი დანართი ფორმა №7, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №8, ინფორმაცია ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებათა შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №9, ინფორმაცია ორგანიზაციის ანგარიშზე რიცხული კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა№10, ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ბალანსის დანართი ფორმა№11, ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ბალანსის დანართი ფორმა№12, ორგანიზაციის აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №13.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა საბიუჯეტო ფინანსურ ანგარიშგებაზე

საბიუჯეტო ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, რომელიც თან ახლავს საბიუჯეტო ფინანსურ ანგარიშგებას და ასევე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის" მიხედვით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ და დამტკიცებულია 2014 წლის 31 დეკემბერს ფინანსთა მინისტრის №429 ბრძანებით, პასუხისმგებელია „ორგანიზაციის" ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს ისეთი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი საბიუჯეტო ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ საბიუჯეტო ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად, რომელიც მოითხოვს ეთიკის მოთხოვნების დაცვას, აუდიტის დაგეგმავასა და ჩატარებას დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა საბიუჯეტო ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, საბიუჯეტო ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეურნეო სუბიექტისფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რათა დაგეგმოს მოცემულიკონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი, აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. აუდიტი არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად აუდიტორული დასკვნისათვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს წარმოდგენილი საბიუჯეტო ფინანსური ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება 2014 წლის 31 დეკემბერს ფინანსთა მინისტრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციას“.

დირექტორი: /კ.ბერაძე, (სერტიფიკატი ზოგად აუდიტში №5/568)/

საქართველო, თბილისი, აკ.წერეთლის გამ 95ა დ.ბაქრაძის ქ. #6.ტელ:2 35 25 12; E-mail:compaudi@hotmail.com
გვერდი 4-33

ნაწილი I

შესავალი

აუდიტის ობიექტი - სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო".

აუდიტის საფუძველი - სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" და შპს ,,კომპაუდს" შორის 2018 წლის 29 მარტს გაფორმებული № 68 ხელშეკრულება.

აუდიტის ფორმა - გასვლითი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

აუდიტის მეთოდი - პირველადი დოკუმენტების შესწავლა-ანალიზი, გამოკითხვისა და გასაუბრების მეთოდი.

აუდიტი ჩაატარეს - აუდიტორებმა: კობა ბერაძემ, ნოდარი ებანოიძემ.

აუდიტის ვადა - აუდიტი დაიწყო 2018 წლის 30 მარტს და დამთავრდა 2018 წლის 10 აპრილს.

1. ძირითადი საქმიანობის მოკლემი მოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" დაფუძნებულია ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ამავე კანონის თანახმად წარმოადგენს - სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიო მაუწყებლობისათვის შექმნილ, საჯარო დაფინანსებით მოქმედ, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას, რომლის მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"„ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით. გამოყოფილი თანხა ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ჩაირიცხება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ანგარიშზე"(საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ: მუხლი 35[12]. პუნქტი 1.).

საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (**სსბასს**, ინგლისური აბრევიატურით - **IPSAS**) მოთხოვნათა შესაბამისად. ვინაიდან IPSAS-ის დანერგვა ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება ეტაპობრივად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის №701 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის" შესაბამისად), „ორგანიზაციის" მიერ ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს საკასო და დარიცხვის მეთოდების ალტერნატიული მოდელის - **მოდიფიცირებული საკასო მეთოდის საფუძველზე**, რომელიც წარმოადგენს შუალედურ ეტაპს IPSAS-ის სრულად დანერგვამდე. მოდიფიცირებული საკასო მეთოდი განსაზღვრავს ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვას და ფინანსური ანგარიშგების ფორმებში ასახვას როგორც დარიცხვის, ასევე საკასო მეთოდით ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი დაშვებებისა და პრინციპების, აგრეთვე საქართველოს საჯარო სექტორში დღეს მოქმედი მეთოდოლოგიით აღიარებული კონცეფციებისა და სტანდარტების გამოყენებით.

აუდიტის პროცესში შემოწმდა „ორგანიზაციის" მიერ წარმოდგენილი 2017 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის პირველადი დოკუმენტები, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემები, ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძვლები. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის „ორგანიზაციას" გააჩნია სპეციალური ბუღალტრული პროგრამა „სუპერფინი" და ონლაინ პლატფორმაზე მომუშავე (.php) პროგრამა - „საწყობისა და მატერიალური მარაგების მართვა", რომელშიც დეტალურად არის ასახული მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების მოძრაობები (შეძენა, გასვლა, საინვეტარიზიციო ბარათებზე ასახვა, ცვეთის დარიცხვა, შიდა მოძრაობები და ა.შ).

ნაწილი II

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

2. ორგანიზაციის ბალანსის აუდიტი

წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ აქტივები 9,445,906 ლარს შეადგენს, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები 157,917 ლარია, აქედან ფულადი სახსრები - 11,631 ლარი, სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები -20,521ლარი, მოკლევადიანი მოთხოვნები - 1,604 ლარი, სხვა მატერიალური მარაგები - 124,162 ლარი. გრძელვადიანი აქტივები შეადგენს 9,287,989 ლარს, აქედან: არაწარმოებული აქტივები - 534,103 ლარია, ძირითადი აქტივები - 8,736,582 ლარი, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები - 17,304 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ ვალდებულებები და კაპიტალი 9,445,906 ლარს შეადგენს, მათ შორის მოკლევადიანი ვალდებულებები 78,988 ლარს შეადგენს, რაც მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებია,სულ საკუთარი კაპიტალი 9,366,919 ლარს შეადგენს, აქედან აქტივების წმინდა ღირებულება - 9,215,691 ლარი, გაუნაწილებელი მოგება - 151,227 ლარი.

ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც „ორგანიზაცია" ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ვალდებულების მონაწილე. ფინანსური აქტივების ჩამოწერა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ, ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება როდესაც ვალდებულება იფარება, უქმდება ან მისი საციცოცხლო ვადა სრულდება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით: კერძოდ, მიმდინარე (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები) აღიარებულია იმ თანხით, რა თანხაზეც მოხდა დებიტორთან შეთანხმება, ხოლო მიმდინარე ვალდებულებების (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები) აღიარდება იმ თანხით, რა თანხაზეც მოხდა შეთანხმება კრედიტორთან.

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ წარმოდგენილი ანგარიშგების ზემოთაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია „ორგანიზაციაში" არსებულ სააღრიცხვო მონაცემებთან და შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №97 (სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ, 2013 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი) დამტკიცებული ფორმის (ფორმა N1) მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია სსიპ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

N	დასახელება	ანგარიში	2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	**აქტივები**			
020	**მოკლევადიანი აქტივები**			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	11,631	40,839
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	20,521	18,995
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	1,604	274
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	124,162	104,094
070	**სულ მოკლევადიანი აქტივები**		**157,917**	**164,201**
080	**გრძელვადიანი აქტივები**			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	-	-
100	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	17,304	11,153
120	ძირითადი აქტივები	2100	8,736,582	5,002,493
130	ფასეულობები	2300	-	-
140	არაწარმოებული აქტივები	2400	534,103	505,029
150	**სულ გრძელვადიანი აქტივები**		**9,287,989**	**5,518,675**
160	**ბალანსი**		**9,445,906**	**5,682,876**
170	**ვალდებულებები**			
180	**მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები**			
190	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	-	-
200	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	78,988	172,110
210	**სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები**		**78,988**	**172,110**
220	**გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები**	3300	-	-
230	**სულ გრძელვადიანი ვალდებულებები**		-	-
240	**სულ ვალდებულებები**		**78,988**	**172,110**
250	**კაპიტალი**			
260	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	9,215,615	5,380,915
270	გაუნაწილებელი მოგება	5220	151,227	129,851
280	დაუფარავი ზარალი	5230	-	-
290	**სულ კაპიტალი**		**9,366,919**	**5,510,766**
300	**ბალანსი**		**9,445,906**	**5,682,876**

საბალანსო უწყისიდან ჩანს, რომ აქტივები გაზრდილია 3,763,030 ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია ძირითადი აქტივების ზრდით (გაიზარდა 3,734,089 ლარით) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

3. მოგება-ზარალის (ფინანსური შედეგები) უწყისის აუდიტი

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში _ ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელიც ახასიათებს ორგანიზაციის საოპერაციო საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ანგარიშგება წლიურია. მასში აისახება საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები რომელიც გაიანგარიშება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით.

სსბასს 1. „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" განსაზღვრავს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების დაჯგუფება უნდა მოხდეს ერთეულის ოპერაციების შინაარსის მიხედვით, ხოლო ხარჯების კლასიფიკაცია მათი ეკონომიკური შინაარსის ან ერთეულში მათი ფუნქციების მიხედვით. არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა.

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება მზადდება როგორც საბიუჯეტო, ასევე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული/გაწეული შემოსავლების და ხარჯების მონაწილეობით (გარდა არასაოპერაციო შემოსავლების და ხარჯებისა, რომლებიც ასისახება ფორმა №4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში). მოქმედი ფორმა №2 „ანგარიში ფინანსური შედეგების შესახებ" მრავალსვეტიანია, შემოსავლები და ხარჯები აისახება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, საბიუჯეტო დაფინანსებითა და საკუთარი სახსრებით მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების ჭრილში. ანგარიშის შედგენისას მონაცემები შემოსავლებსა და ხარჯებზე აისახება დარიცხვის მეთოდით, ხოლო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება - საკასო მეთოდით. შესადარისობის მიზნით ყველა მაჩვენებელი აგრეთვე აისახება საანგარიშგებო წლის წინა წლის მონაცემების მიხედვით. მონაცემები აღებულ უნდა იქნეს ფინანსურიანგარიშებიდან.

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №97 (სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ, 2013 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი) დამტკიცებული ფორმის (ფორმა №2) მიხედვით, სადაც შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკაცია მოცემულია მათი ეკონომიკური სინაარსის მიხედვით.

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

	დასახელება	2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
		ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	
010	**ბიუჯეტიდან დაფინანსება**	**6,958,032**		**6,958,032**	**6,629,070**
020	**შემოსავლები (030+040+050+060)**	**-**	**158,281**	**158,281**	**104,273**
030	გადასახადები	-	-	-	-
040	სოციალური შენატანები	-	-	-	-
050	გრანტები	-	-	-	-
060	**სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)**	**-**	**158,281**	**158,281**	**104,273**
070	ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-			700
080	ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	152,494	152,494	103,573
090	გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	-	-	-
100	დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	-	-	-
110	ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	5,787	5,787	-
120	**სულ (010+020)**	**6,958,032**	**158,281**	**7,116,312**	**6,733,343**

130	**ხარჯები**				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	1,493,704	-	1,493,704	1,579,932
150	საქონელი და მომსახურება	4,276,713	104,184	4,380,897	4,195,984
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	1,120,033	20,402	1,140,436	1,146,124
170	პროცენტი	-	-	-	-
180	სუბსიდიები	-	-	-	-
190	გრანტები	-	-	-	423
200	სოციალური უზრუნველყოფა	62,051	-	62,051	48,985
210	სხვა ხარჯები	68,216	11,857	80,073	446,835
220	**სულ (140+150+160+170+180+190+200+210)**	**7,020,717**	**136,443**	**7,157,160**	**7,418,284**
230	**ფინანსური შედეგი (120-220)**	**(62,685)**	**21,837**	**(40,848)**	**(684,941)**

„ორგანიზაციას" საანგარიშო წელს აქვს დაფინანსების ორი წყარო: დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და დაფინანსება ეკონომიკური საქმიანობიდან.

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება ასახვას ჰპოვებს „ორგანიზაციის" წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ანგ. 5100). წმინდა ღირებულების ანგარიშზე არსებული ნაშთი ემთხვევა ფორმა №2 - ის სტრიქონი 230 – „ფინანსური შედეგი", სვეტი „საბიუჯეტო სახსრები" ჩანაწერს, რაც წარმოადგენს ფინანსურ შედეგს საბიუჯეტო დაფინანსების ხარჯზე - (62,685) ლარს. საკუთარი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დაფინანსება ასახვას ჰპოვებს „ორგანიზაციის" საკუთარი კაპიტალის (ანგ. 5200) ანგარიშზე. საკუთარი კაპიტალის ანგარიშზე არსებული ნაშთი ემთხვევა ფორმა N2 - ის სტრიქონი 230 – „ფინანსური შედეგი", სვეტი „არასაბიუჯეტო სახსრები" ჩანაწერს, რაც წარმოადგენს ფინანსურ შედეგს ეკონომიკური საქმიანობიდან - 21,83 ლარს.

„ორგანიზაციის" ჯამური ფინანსური შედეგი (ფორმა №2, სტრიქონი 230 – „ფინანსური შედეგი", სვეტი „სულ") 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - (40,848) ლარს.

„ორგანიზაციის" მიერ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით გაწეულია ხარჯები შემდეგი მუხლებით: მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე - 1,493,704 ლარი, საქონელი და მომსახურება - 4,276,713 ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 62,051 ლარი, სხვა ხარჯები - 68,216 ლარი.

„ორგანიზაციის" მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ჯამური შემოსავალი (158,281 ლარი) ფორმირებულია შემდეგი შემოსავლებით: მომსახურების რეალიზაცია - 152,494 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 5,787 ლარი. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსული სახსრებით დაფინანსებულია ხარჯები შემდეგი მუხლებით: საქონელი და მომსახურება - 104,184 ლარი, სხვა ხარჯები - 11,857 ლარი.

4. ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება განსაზღვრავს: (ა) ფულადი სახსრების შემოდინების წყაროებს, (ბ) მუხლებს, რომლებზეც მოხდა ფულადი სახსრების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში, (გ) ფულადი სახსრების სალდოს საანგარიშო დღისათვის. ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაცია სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის, როგორც ანგარიშგების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის. ინფორმაცია ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ საშუალებას აძლევს მის მომხმარებლებს დაადგინონ თუ როგორ გამოიმუშავა საჯარო სექტორის ერთეულმა მისი საქმიანობის დაფინანსებისათვის საჭირო ფულადი სახსრები და როგორ მოხდა ამ სახსრების გამოყენება. რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისა და შეფასებისათვის ერთეულის საქმიანობის საიმედოობის თვალსაზრისით, მომხმარებლებს სჭირდებათ ფულადი სახსრების ნაკადების გამოყენების დროულობის და მათი საიმედოობის შეფასება.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენისა და სათანადო განმარტებების მოთხოვნებს განსაზღვრავს **სსბასს 2**. ამ სტანდარტის მიზანია ერთეულის ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების წარსულში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფულადი სახსრების ანგარიშგების მეშვეობით, რომელიც კლასიფიცირებულია საანგარიშო პერიოდში საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების სახით.

ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაცია ეხმარება ინფორმაციის მომხმარებლებს მოახდინონ შემდეგი, პროგნოზირება:

- ერთეულისათვის მომავალში საჭირო ფულადი სახსრების;
- მისი შესაძლებლობების მომავალში გამოიმუშაოს ფულადი სახსრები;
- მისი შესაძლებლობის დააფინანსოს ერთეულის საქმიანობის სფეროში და სახეობაში მომხდარი ცვლილებები.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება აგრეთვე იძლევა საშუალებას ერთეულმა მოახდინოს ანგარიშგება ფულადი სახსრების შემოდინებაზე და გადინებაზე საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოგიდგენთ ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს რომელიც შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №97(სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ, 2013 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი) დამტკიცებული ფორმის (ფორმა N3) მიხედვით:

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება (არაპირდაპირი მეთოდი)

	დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
010	**წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი**	**3,834,776**	**21,376**	**-**	**3,856,152**
020	**<u>კორექტირებები:</u>[1]**	**(2,926,527)**	**(650)**	**-**	**(2,927,177)**
030	***ცვლა (+)***	1,120,033	20,402	-	**1,140,436**
040	აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(3,945,862)	447	-	**(3,945,414)**
050	მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(20,150)	82	-	**(20,068)**
060	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(5,243)	(908)	-	**(6,151)**
070	დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(1,330)	(1,527)	-	**(2,857)**
080	კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(73,975)	(19,147)	-	**(93,122)**
090	**წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან**	**908,249**	**20,726**	**-**	**928,976**
100	**ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან**				
110	**არაფინანსური აქტივების გაყიდვა**	**-**	**-**	**-**	**-**
120	ძირითადი აქტივები	-	-	-	**-**
130	სტრატეგიული მარაგები	-	-	-	**-**
140	ფასეულობები	-	-	-	**-**
150	არაწარმოებული აქტივები	-	-	-	**-**

160	**არაფინანსური აქტივების შესყიდვა**	**908,249**	**49,935**	**-**	**958,184**
170	ძირითადი აქტივები	908,249	49,935	-	**958,184**
180	სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
190	ფასეულობები	-	-	-	-
200	არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
210	**წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან**	**(908,249)**	**(49,935)**	**-**	**(958,184)**
220	**ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან**				
230	**წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა**	-	-	-	-
240	**წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა**	-	-	-	-
250	**წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან**	-	-	-	-
260	**ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება**	-	(29,209)	-	(29,209)
270	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	-	40,839	-	40,839
280	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	-	11,630	-	11,630
290	ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	(65)	-	(65)
300	დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ანგარიშიდან ჩანს, რომ წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ჯამურად შეადგენს **928,976** ლარს. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები მთლიანად შთანთქმულია ინვესტიციებიდან მიღებული უარყოფითი ფულადი ნაკადებით, რაც გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდში აქტივების შესყიდვით. მთლიანობაში წმინდა ფულადი სახსრები შემცირებულია წინა წელთან შედარებით **29,209** ლარით.

5. ძირითად საშუალებებთან დაკავშირებულ ოპერაციათა აუდიტი

ძირითადი საშუალებები საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური აქტივებია, რომელსაც საწარმო იყენებს, წარმოებაში, მომსახურეობაში, იჯარით გასაცემად, ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გამოიყენება ერთ წელზე მეტი ხნის ვადით.

საჯარო სექტორში ობიექტი ითვლება აქტივად, როდესაც მასზე საკუთრების უფლება მოპოვებულია და მომავალში შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მოტანა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იღებს სარგებელს ამ აქტივებიდან. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით ძირითადი აქტივები განსაზღვრულია როგორც წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარსა და მეტს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №429 ბრძანების საფუძველზე (ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ") ფინანსურ აღრიცხვაში ძირითადი საშუალებები წარმადგენენ გრძელვადიანი აქტივების ნაწილს, ხოლო მათ აღსარიცხად გამოიყენება **2100** ანგარიში, რომელიც იყოფა ქვეანგარიშებად. ყოველ ქვეანგარიში შეესაბამება საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული არაფინანსური აქტივების ცალკეულ ჯგუფს.

ძირითადი აქტივი პირველადი ასახვის შემდგომ აღირიცხება მისი საბალანსო ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მათი მიღების შემდეგ. აქტივის პირვანდელ ღირებულებაში ცვლილებებს ძირითადად იწვევს მათი ექსპლუატაცია, რომელიც აღირიცხება, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება და დანახარჯები, რომლებიც გაიწევა აქტივების არსებით გაუმჯობესებაზე.

ძირითადი საშუალებების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების ჯამური შედეგები აისახება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №97 (სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ, 2013 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი) დამტკიცებული ფორმის (დანართი №5) მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში შეადგენდა - **5,507,522** ლარს. ძირითადი საშუალებების ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგენს - **9,270,685** ლარს.

ძირითად საშუალებებზე ფინანსური ცვეთის დარიცხვისათვის გამოიყენება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №439) ინსტრუქციაში მოცემული ნორმები.

განმარტებით ბარათში, რომელიც თან ერთვის ფინანსურ ანგარიშგებას გაშიფრულია ბალანსის დანართ ფორმა №5 -ში „არასაცხოვრებელი შენობები" (სტრიქონი 140) მიღების ნაწილში (გრანტები) ფიქსირებული თანხის - 3,893,325 ლარის გაშიფვრა. კერძოდ, აღნიშნულია, რომ აღნიშნული თანხა შეადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის 06 აპრილის №01-10/1372 და №01-10/1373 წერილებით უსასყიდლოდ, სამინისტროს მოთხოვნამდე ვადით, ქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ №57 და №41 მდებარე, შესაბამისად 408 კვ.მ და 1 322.2 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის მათზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებით სარგებლობაში გადაცემას. არასაცხოვრებელი ფართები საბალანსო დოკუმენტაციის უქონლობის გამო აფასებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შესაბამისად მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთების ღირებულების გათვალისწინებით.

აღნიშნული მიდგომა ჩვენ მიგვაჩნია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ. **კერძოდ, 17 „ძირითადი საშუალებები", პუნქტი 74 მიუთითებს:*„მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე მათი ერთად შეძენის შემთხვევაშიც კი.*** *მიწას, ჩვეულებრივ, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და,შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა,როგორიცაა კარიერები და ნაგავსაყრელები. შენობებს შეზღუდული მომსახურების ვადა გააჩნიათ და, შესაბამისად, ცვეთად აქტივებად განიხილება. მიწის ღირებულების გაზრდა გავლენას არ ახდენს მასზე განთავსებული შენობების ცვეთადი ღირებულების განსაზღვრაზე".*

კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშგება ითვალისწინებს არაფინანსური აქტივების (კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებები) ანალიზური აღიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №97 - ით დამტკიცებულ დანართში (დანართი N8). დანართის მიხედვით საანგარიშო წლის ბოლოს „ორგანიზაციის" ბალანსზე ირიცხებოდა:

- მსუბუქი სატრანსპორტო საშუალება - 8 ცალი (ღირებულება - 110,320 ლარი)
- ჯიპები და პიკაპები - 8 ცალი (ღირებულება - 89,814 ლარი)
- სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები - 3 ცალი (ღირებულება - 47,497 ლარი)

საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული იქნა ხარჯები:

- საკასო ხარჯი რემონტზე -49,771 ლარი
- ფაქტიური ხარჯი რემონტზე - 49,771 ლარი
- საკასო ხარჯი საწვავზე - 92,854 ლარი
- ფაქტიური ხარჯი საწვავზე - 94,382 ლარი

სხვაობა საწვავზე გაწეულ საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის შეადგენს 1,528 ლარს, რაც წარმოშობს ვალდებულებას საანგარიშგებო წლის ბოლოს კრედიტორის მიმართ.

6. ანგარიშსწორების აუდიტი

„ორგანიზაცია“ დებიტორ-კრედიტორებთან ანგარიშსწორებას აწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით, თუმცა აქვს საბანკო ანგარიშიც. ბრუნვამ საბანკო ანგარიშზე შეადგინა **6,128.34** ლარი. საბანკო ანგარიშზე საწყისი და საბოლოო ნაშთები არ ფიქსირდება. ოპერაციათა ბუღალტრული გატარებები თუ უზუსტობები არ გამოვლენილა, ამონაწერით საბუღალტრო ოპერაციები დასაბუთებულია შესაბამისი პირველადი დოკუმენტებით. ინფორმაცია „ორგანიზაციის“ საბანკო და სახიზინო ანგარიშებისა და მათზე არსებული ნაშთების შესახებ მოცემულია ცხრილში:

ანგარიში ნომერი	ტიპ	დასახელება	ნაშთი 01/01/2017 წ (ლარი)	ნაშთი 31/12/2017 წ (ლარი)
1212	აქტ	სს „თიბისი ბანკი“	-	-
1230	აქტ	სახაზინო ანგარიში საკუთარი შემოსავლებისათვის	40,839.12	11,630.58
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები			**40,839.12**	**11,630.58**

ბანკისა და ხაზინის ამონაწერები ემთხვევა შესაბამის საბუღალტრო ანგარიშებზე გატარებულ ოპერაციებს.

7. კრედიტორული და დებიტორული დავალიანების აუდიტი

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დროული დაფარვის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს „ორგანიზაციის“ გადახდისუნარიანობაზე. ამიტომ მათი მართვა და კონტროლი ერთ-ერთი არსებითი საკითხია „ორგანიზაციის“ ფინანსურ მმართველობაში. დებიტორული დავალიანებები წარმოიშობა საქონლის ან მომსახურების კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში.

„ორგანიზაციის“ დებიტორული დავალიანებების შესახებ ჯამური ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრისბრძანება №97 - ით დამტკიცებულ დანართში N9. დებიტორული დავალიანების ჯამური თანხა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - 22,125 ლარს. აქედან წინა წლის დებიტორული დავალიანება შეადგენს - 9,583 ლარს, ხოლო საანგარიშო წლის დებიტორული დავალიანება - 12,542 ლარს.

დებიტორული დავალიანება ორგანიზაციულ ჭრილში მოცემულია დანართში N11. სადაც მითითებულია დებიტორული დავალიანების წარმოშობის წელი და წარმოშობის საფუძველი.

ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში
2017 წლის 31 დეკემბრისათვის

N	ორგანიზაციის დასახელება	დავალიანების თანხა (ლარი)	წარმოშობის თარიღი	წარმოშობის საფუძველი
1	შპს "BURJI-INVEST"	4,426	31-12-2014	სასპონსორო მომსახურება
2	შპს "გრინ ლაით სტუდიო პროდაქშენი"	5,157	31-03-2015	სასპონსორო მომსახურება
3	შპს ტელეარხი 25	1,400	31-12-2017	ანძების იჯარის მომსახურება
4	შპს „ვიონი საქართველო“	1,903	31-12-2017	ანძების იჯარის მომსახურება
5	შპს „აირნეტი“	300	30-06-2017	ანძების იჯარის მომსახურება
6	შპს „მაგთიკომი“	500	31-12-2017	ანძების იჯარის მომსახურება
7	შპს „ნაღდი პური“	150	31-12-2017	სასპონსორო მომსახურება
8	ფ/პ გოჩა კახიძე	969	31-10-2017	დაზიანებული ავტომობილის ზიანის ანაზღაურება
9	ფ/პ კორნელი პატარაია	518	31-10-2017	დაზიანებული ავტომობილის ზიანის ანაზღაურება
10	სს "სილქნეტი"	4	31-12-2017	ფიჭური სატელეფონო მომსახურება
11	შპს "ჯეოსელი"	1,348	31-12-2017	ანძების იჯარის მომსახურება
12	სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	50	25-12-2017	აუქციონის გამოცხადების საფასური
13	სახელმწიფო ბიუჯეტი	3,851	31-12-2017	მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები
14	უცხ. აიპ ფილიალი ბრიტანეთის საბჭო საქართველოში	1,550	27-12-2017	სატელევიზიო პროგრამის შემენის ხარჯი ერთი წლის ვადით
სულ		**22,125**		

ცხრილიდან ჩანს, რომ „ორგანიზაციას“ აქვს გასული წლების (2014, 2015) მოთხოვნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაფარულა. მათი ხვედრითი წილი მთლიან მიმდინარე აქტივებში შეადგენს 6%.

რეკომენდაცია: *ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ზომები ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ამოღების მიმართულებით, მათ შორის სასამართლოს გზით.*

კრედიტორული დავალიანების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია საქონლის/მომსახურების მიწოდებით წარმოქმნილი ვალდებულებები.

ვალდებულებები საქონლისა და მომსახურების მოწოდებით წარმოიშობა საქონლის, ნედლეულისა და მასალების შესყიდვისას, სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევისას,სამუშაოს შესრულებისას და სხვ. ორგანიზაციების საქმიანობის პროცესში განხორციელებული საქონლისა დამომსახურების შესყიდვები მიეკუთვნება სახელმწიფო შესყიდვებს. სახელმწიფოშესყიდვები წარმოებს ხელშეკრულებების საფუძველზე, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.

საქონლისა და მომსახურების შესყიდვებით წარმოქმნილი ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან, „ორგანიზაციას“ აღირიცხული აქვს ანგარიშებზე:

- 3210 საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები;
- 3220 არაფინანსური (გრძელვადიანი) აქტივების მოწოდებით დარიცხულივალდებულებები.

„ორგანიზაციის“ კრედიტორული დავალიანებების შესახებ ჯამური ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №97-ით დამტკიცებულ დანართში N10. კრედიტორული დავალიანების ჯამური თანხა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს - 78,988 ლარს.

კრედიტორული დავალიანება ორგანიზაციულ ჭრილში მოცემულია დანართში №12, სადაც მითითებულია კრედიტორული დავალიანების წარმოშობის წელი და წარმოშობის საფუძველი.

ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში 2017 წლის 31 დეკემბრისათვის:

N	ორგანიზაციის დასახელება	კრედიტი თანხა	წარმოშობის თარიღი	წარმოშობის საფუძველი
1	სს „სილქნეტი“	1,120	13-06-2016	წინასწარი გადახდა
2	სს „სილქნეტი“	1,825	18-12-2017	წინასწარი გადახდა
3	სს „სილქნეტი“	500	20-12-2017	წინასწარი გადახდა
4	შპს „ჯეოსელი“	288	09-08-2016	წინასწარი გადახდა
5	შპს „ჯეოსელი“	530	13-12-2016	წინასწარი გადახდა
6	შპს „მაგთიკომი“	2,817	19-06-2017	წინასწარი გადახდა
7	ი/მ ციური დიასამიძე	474	15-05-2017	წინასწარი გადახდა
8	სახელმწიფო ბიუჯეტი	25	31-12-2017	გადასახდელი დღგ
9	სახელმწიფო ბიუჯეტი	476	31-12-2017	გადასახდელი ქონების გადასახადი
10	შპს „მაგთიკომი“	1,722	31-12-2017	ფიჭური სატელეფონო მომსახურება
11	სს „სილქნეტი“	338	31-12-2017	ფიჭური სატელეფონო მომსახურება
12	შპს „საქარტველოს ფოსტა“	17	31-12-2017	საფოსტო მომსახურება
13	შპს "რომპეტროლ საქართველო"	11,828	31-12-2017	საწვავ/საპოხი მასალების შეძენა
14	სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"	995	31-12-2017	საწვავ/საპოხი მასალების შეძენა
15	შპს „მაგთიკომი“	117	31-12-2017	სსიპ 112-ის მომსახურება
16	უცხოური კომპანია „აზერკოსმოსი“	693	31-12-2017	პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები
17	შპს „ქართული გახმოვანება“	54,595	26-12-2017	ფილმების შეძენა სამჯერადი ჩვენების უფლებით
18	სახელმწიფო ბიუჯეტი	55	31-12-2017	გადასახდელი მოგების გადასახადი
19	სახელმწიფო ბიუჯეტი	574	31-12-2017	გადასახდელი დღგ
	სულ	**78,989**		

8. 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა

აუდიტორთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა განხორციელებული სახელმწიფოშესყიდვები სუბიექტური შერჩევის მეთოდით. რაც სრულიად საკმარისი იყოინფორმაციის იდენტიფიკაციის, ანალიზის, შეფასებისა და საერთო ჯამში აუდიტისმიზნების მისაღწევად. დეტალურად შევისწალეთ შერჩეული შესყიდვების დოკუმენტაცია და განვიხილეთ რამდენად შეესაბამებოდა შესყიდვის პროცესი და შესაბამისი დოკუმენტაცია დადგენილ მარეგულირებელ მოთხოვნებს. შევამოწმეთ სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის, წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან (საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, ქ. თბილისი, 2005 წლის 20 აპრილი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისი 2011 წლის 7 აპრილი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისი 2011 წლის 10 თებერვალი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №12 2017 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმები), ჩავატარეთ გასაუბრებები „ორგანიზაციის“ იმ პერსონალთან, რომლებიც პასუხისმგებელია სახელმწიფო შესყიდვებზე, გადავხედეთ იმ დოკუმენტაციას, რომელიც ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

„ორგანიზაციის“ მიერ 2017 წელს განხორციელებული შესყიდვის ფორმების მიმოხილვა:

N	შესყიდვის ფორმა	გამოცხადების რაოდენობა	ტენდერის სტატუსი „შეწყვეტილია“	ტენდერის სტატუსი „არ შედგა“	ტენდერის სტატუსი „უარყოფითი შედეგი“	ტენდერის სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“
1	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA	39	-	9	1	29
2	ელექტრონული ტენდერი SPA	1	-	-	1	-
3	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT	-	-	-	-	-
4	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT	42	-	7	6	29

N	გამარტივებული შესყიდვა CMR	გამარტივებული შესყიდვა	კონსოლიდირებული ტენდერი
1		346	15

- <u>SMP - მოდულის მეშვეობით</u> ორგანიზაციას კანონმდებლობის სრული დაცვით აქვს 21 ჯერ მოთხოვნილი ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში შესყიდვის განხორციელება, აქედან თანხმობა მიღებულია - 18 შემთხვევაში, უარყოფილია - 1 შემთხვევა, განუხილველი დარჩა - 1 შემთხვევა და 1- შემთხვევა გახმობილია თავად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

- <u>შესყიდვების წლიური გეგმა</u>

  შემსყიდველ ორგანიზაცია „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო„ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის დაფინანსებას ღებულობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე აქვს საკუთარი შემოსავლები.

- <u>„შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი</u>

  შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, განხორციელებული შესყიდვების დროს ადგილი აქვს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების დარღვევას, კერძოდ:

1.) გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება - CMR170160433 ხელშეკრულების # 257 გაფორმების თარიღი: 20.09.2017 წელი, ხელშეკრულების საგანი: სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს გადასცეს 2 თვის ვადით დროებით სარგებლობაში „8 შემავალიანი და ერთდროულად 6 შემავალით მომუშავე პროგრამულად მართვადი ვიდეო-აუდიო მიქშერი“ აღნიშნული შესყიდვის CPV კოდად მითითებულია (CPV კოდი -713 36 000), აღნიშნული მომსახურება თავისი შინაარსით რადიკალურად განსხვავდება CPV კოდით გათვალისწინებული „საინჟინრო მომსახურებები“-ს შინაარსისგან;

2.) გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება - CMR170128602 ხელშეკრულების # 179 გაფორმების თარიღი: 10.07.2017 წელი, ხელშეკრულების საგანი: სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს გადასცეს 2 თვის ვადით დროებით სარგებლობაში „8 შემავალიანი და ერთდროულად 6 შემავალით მომუშავე პროგრამულად მართვადი ვიდეო-აუდიო მიქშერი“ აღნიშნული შესყიდვის CPV კოდად მითითებულია (CPV კოდი -713 36 000), აღნიშნული მომსახურება თავისი შინაარსით რადიკალურად განსხვავდება CPV კოდით გათვალისწინებული „საინჟინრო მომსახურებები“-ს შინაარსისგან;

3.) გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება - CMR170130579 ხელშეკრულების # 176 გაფორმების თარიღი: 06.07.2017 წელი, ხელშეკრულების საგანია: სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს, მდებარე ბათუმი მ. აბაშიძის ქ.#57 -ში გაგრილების სისტემის შეცვლისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (CPV კოდი -71242000);

4.) გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება - CMR170128593 ხელშეკრულების # 174 გაფორმების თარიღი: 06.07.2017 წელი, ხელშეკრულების საგანია: სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს, მდებარე ბათუმი მ. აბაშიძის ქ.#57 -ში სახურავის კაპიტალური სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (CPV კოდი -71242000).

„შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე CPV კოდი 71200000 ითვალისწინებს- არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურეობებს, ხოლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება კი თავისი შინაარსით არის CPV 71300000 - საინჟინრო მომსახურებები.

- <u>**გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებები**</u>

აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვის 346 შემთხვევიდან 106 შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ტარიელთან ს/კ 245442454. ამ ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილით შეძენილია საკვები პროდუქტები და აგრეთვე ძალიან ბევრია 10 ათ ლარამდე საქონლის შეძენის შემთხვევები, ისეთი შემთხვევაც კი ფიქსირდება როდესაც ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 0,50 ორმოცდაათ თეთრს მაგ. (CMR 170070965). შესაბამისად ლოგიკური იქნება ამ საქონლის შესაძენად მომწოდებელთან გაფორმდეს ხელშეკრულება ერთი წლის ვადით და ანგარიშსწორების ფორმად განისაზღვროს ეტაპობრივად თანხის ანაზღაურება.

- CMR170082201 - შემსყიდველმა ორგანიზაციამ „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო„ 05.04.2017 წელს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეიძინა ფ/პ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი სატრენინგო მომსახურება/კადრების მომზადების სფეროში, მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 3000 სამი ათას ლარს. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის განხორციელების დროს უმჯობესია დაკონკრეტებული იყოს შესასყიდი საქონლის/გასაწევი მომსახურების აღწერა მაქსიმალურად. კერძოდ, რა სახის ტრენინგები ჩატარდა, ტრენინგის თემატიკა, რა საკითხები იყო განხილული ტრენინგზე, ტრენინგის დღის წესრიგი, დამსწრეთა აღრიცხვის ბლანკი, ტრენერის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ასე შემდეგ.

- <u>**გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - SPA 170004351**</u> გამოცხადების თარიღი: 16.03.2017 ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს Bel Voir ს/კ 445413678 რომელმაც ტენდერის მიმდინარეობის ძირითად დროში დააფიქსირა 3780 ლარი

რეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებები
შპს Bel Voir	**3`780.00** 21.03.2017 22:20	3`780.00 21.03.2017 22:20	[1] <u>ნახვა</u>

ხოლო მის მიერ სისტემაში ატვირთული ფასების ცხრილი გაანგარიშებული იყო 4000 ლარზე. შემსყიდველმა ორგანიზაციამ **შპს Bel Voir ს/კ** 445413678 პირდაპირ გამოაცხადა ტენდერში გამარჯვებულად და მოიწვია ხელშეკრულების გასაფორმებლად.

შენიშვნა:

შესყიდველი ორგანიზაციას,**შპს Bel Voir ს/კ** 445413678 ისათვის თავდაპირველად უნდა მოეთხოვა სისტემის მეშვეობით საბოლოოდ დაფიქსირებული ფასის 3780 ლარის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ატვირთვა სისტემაში, რისთვისაც განუსაზღვრავდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადას და იმავდროულად მოიწვევდა ხელშეკრულების გასაფორმებლად კონკრეტული თარიღის მითითებით. აღნიშნული ქმედებით სატენდერო კომისიის მიერ დარღვეული იქნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 27. ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების წესის მე-10 პუნქტის ე.) ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც,ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტება დასაშვებია: ე) ხელშეკრულების დასადებად მიწვევასთან ერთად - თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ საჭიროებს დაზუსტებას და ელექტრონულ ტენდერში არ არის გათვალისწინებული ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის,

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ან/და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის ვალდებულება. ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტებისათვის დგინდება გონივრული, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაოდღე, რომელიც ითვლება ხელშეკრულების დასადებად განსაზღვრულ ვადაში. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის დადგენილ ვადაში დაუზუსტებლობა, არასრულყოფილად დაზუსტება ან/და არსებითად შეცვლა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

- <u>**გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - SPA 170006222**</u> გამოცხადების თარიღი 27.04.2017 მონაწილეობა მიიღო სამმა მონაწილემ

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებები
გელა პატარაია	**10`160.00** 03.05.2017 11:05	10`160.00 03.05.2017 11:05	[1] <u>ნახვა</u>
ჯითიეს ელექტრონიქსი	**8`000.00** 03.05.2017 12:37	10`045.00 03.05.2017 11:29	[2] <u>ნახვა</u>
შპს კაელჯი+	**7`990.00** 03.05.2017 12:40	8`990.00 02.05.2017 12:34	[2] <u>ნახვა</u>

შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის 10.05.2017 კრების ოქმის საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა „შპს კა ელ ჯი +" და 10.05.2017 წელს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გაგზავნილი წერილის საფუძველზე განესაზღვრა:

1.) საბოლოოდ დაფიქსირებული ფასის 7990 ლარის (დღგ-ს გარეშე), შესაბამისი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის სისტემაში ატვირთვა, რისთვისაც განესაზღვრა ვადა 3 სამი სამუშაო დღე;

2.) საბოლოოდ დაფიქსირებული თანხის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვა, რისთვისაც განესაზღვრა 5 ხუთი სამუშაო დღე;

აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე 15.05.2017 წელს „შპს კა ელ ჯი +" -ის მიერ სისტემის მეშვეობით ატვირთული იქნა საბოლოოდ დაფიქსირებული ფასის შესაბამისი ფასების ცხრილი და ფასწარმოქმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის 18.05.2017 კრების ოქმი #3 საფუძველზე ირკვევა, რომ კომისიამ განიხილა მხლოდ „შპს კა ელ ჯი +" -ის მიერ საბოლოოდ დაფიქსირებული ფასის შესაბამისი, დაზუსტებული ფასების ცხრილი, ხოლო რაც შეეხება ფასწარმოქმნის ადექვატურობას მასზე სატენდერო კომისიამ იმსჯელა 24.05.2017 წლის #5 კრების ოქმით.

აღნიშნული ქმედებით სატენდერო კომისიის მიერ დარღვეული იქნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-12 მუხლის მე -13 პუნქტი, რომლის მიხედვითაც: „შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისობა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან უნდა დადგინდეს შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 2 სამუშაო

დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი. თუ ექსპერტიზას ატარებს შემსყიდველი ორგანიზაცია, ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს შესყიდვის ობიექტის ნიმუშის (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი."

- <u>**გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - SPA170007185**</u> გამოცხადების თარიღი 22.05.2017 შესყიდვის კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 45442180 - სარემონტო სამუშაოები, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 21 180 ლარი დღგ-ს გარეშე, აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობდა და შესაბამისად ხელშეკრულებაც გაფორმდა 14.06.2017 წელს ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ)ავთანდილ თოთიბაძესთან და სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე ანუ 14.09.2017 მდე. 08.09.2017 წელს, აღნიშნულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც გაიზარდა ხელშეკრულების ღირებულება 2217,45 ლარით და სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 25555,23 ლარი. 08.09.2017 წელს, აღნიშნულ ხელშეკრულებაში შესული ცვლილებიდან ირკვევა, რომ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, დაზუსტებული ფასების ცხრილი, რომელიც წარადგინა ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ) ავთანდილ თოთიბაძემ და რომლიც დაედო საფუძვლად ხელშეკრულების გაფორმებას, მოიცავდა ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების ცალკე თავს, ხელშეკრულების ცვლილების შედეგად აღნიშნული სამუშაოები საერთოდ იქნა ამოღებული ხარჯთაღრიცხვიდან. აღნიშნული ქმედებით სატენდერო კომისიის მიერ დარღვეული იქნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მუხლი 20. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა მე-2 მუხლი, რომლის მიხედვითაც „ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა" და ეს შემთხვევებია:

1. *თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.*
2. *გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.*
3. *მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუ ეს შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.*

ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი შემთხვევა არ გამოდგება იმის არგუმენტად, რომ ხარჯთაღრიცხვიდან საერთოდ იქნა ამოღებული ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების თავი.

- **<u>გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA170007342</u>** გამოცხადების თარიღი: 25.05.17 ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა.

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებები
შპს გიო	**1`240.00** 01.06.2017 10:45	1`240.00 01.06.2017 10:45	[1] ნახვა
შპს კომპანია GEOSM	**915.00** 02.06.2017 12:46	1`240.00 02.06.2017 11:04	[3] ნახვა
შპს მეგაშოპი	**914.00** 02.06.2017 12:47	1`240.00 02.06.2017 09:33	[3] ნახვა

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი #2 თარიღი 07.06.2017 მიიღო გადაწყვეტილება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის შპს მეგაშოპი-ს დისკვალიფიკაციის შესახებ. სატენდერო კომიასიამ საკუთარ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტები.
რეალურად სატენდერო კომისიას უნდა ეხელმძღვანელა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის ა.) ქვეპუნქტის საფუძველზე და შპს მეგაშოპი-სათვის უნდა მოეთხოვა ელექტრონული სისტემის მეშვეობით საბოლოოდ დაფიქსირებული ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ატვირთვა, იმავდროულად უნდა მიეთითებინა კონკრეტულად ტექნიკური დოკუმენტაციის მუხლი, რომელიც საჭიროებდა დაზუსტებას და ამ ქმედებისათვის განესაზღვრა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა.
აღნიშნული ქმედებით რეალურად სატენდერო კომისიამ არასწორად მოახდინა შპს მეგაშოპი-ს დისკვალიფიკაცია.

- **<u>ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT170012465</u>** გამოცხადების თარიღი 24.10.2017 აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს ეკონათებამ ს/კ 445471132, რომელმაც დააფიქსირა საბოლოო ფასი 3745 (სამი ათას შვიდას ორმოცდახუთი) ლარი და ტექნიკური დავალებით განსაზღვრული დოკუმენტებიც ატვირთა. სატენდერო კომისიამ იმსჯელა და სხდომის ოქმი #2 დაადგინა, რომ შპს „ეკონათება" ს/კ 445471132 მიეცეს დისკვალიფიკაცია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს 27-ე მუხლის მე-3 პუქტის საფუძველზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ იმავე საქონლის შესყიდვაზე 07.11.2017 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელთავიდან იქნა გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT 170012874, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულებაც გაფორმდა იმავე შპს-სთან „ეკონათება" ს/კ 445471132.

ანალოგიური შემთხვევები ფიქსირდება:

- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT170012141 გამოცხადების თარიღი 13.10.2017, რომელშიც დისკვალიფიცირებული იქნა პრეტენდენტი შპს GNT ს/კ 401953775, რომელიც ხელახლა გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT170012662 გამოცხადების თარიღი: 31.10.2017 გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულებაც გაფორმდა შპს GNT ს/კ 401953775
- ელექტრონული ტენდერი SPA170013084 გამოცხადების თარიღი 04.10.2017 რომელშიც დისკვალიფიცირებული იქნა პრეტენდენტი შპს რანდი ს/კ 248385867, რომელიც ხელახლა გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT170012446 გამოცხადების თარიღი: 24.10.2017 გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულებაც გაფორმდა შპს რანდი ს/კ 248385867
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT170010829 გამოცხადების თარიღი: 08.09.2017 რომელშიც დისკვალიფიცირებული იქნა პრეტენდენტი შპს smart choice ს/კ 404 944 245, რომელიც ხელახლა გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT170011690 გამოცხადების თარიღი: 29.09.2017 გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულებაც გაფორმდა შპს Smart Choice ს/კ 404 944 245
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT 170008483 გამოცხადების თარიღი: 24.07.2017 რომელშიც დისკვალიფიცირებული იქნა პრეტენდენტი შპს ვი დი ჯი გრუპი ს/კ 204560607, რომელიც ხელახლა გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT 170010191 გამოცხადების თარიღი: 25.08.2017 გამარჯვებულად გამოვლინდა და ხელშეკრულებაც გაფორმდა შპს ვი დი ჯი გრუპი ს/კ 204560607
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT170010330 გამოცხადების თარიღი: 30.08.2017 რომელშიც დისკვალიფიცირებული იქნა, ზედიზედ ორი პრეტენდენტი შპს რანდი ს/კ 248385867 და შპს თურმანიძის ავეჯი 437068405

შემსყიდველ ორგანიზაცის „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ ეძლევა რეკომენდაცია, რათა სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული მსგავსი შემთხვევები და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ანალოგიური სახის პრობლემები, რაც თავის მხრივ ზიანს აყენებს როგორც შემსყიდველ ორგანიზაციას (იგულისხმება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური), ასევე პრეტენდენტებს. ტენდერის გამოცხადებისას სატენდერო დოკუმენტაციის 1.3. მუხლში - ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა ატვირთოს ფასების ცხრილი ისეთი სახით, რომელსაც ქვემოთ შენიშვნის სახით მითითებული ექნება:

„შენიშვნა: ფასების ცხრილის წარმოუდგენლობა ან განუფასებელი ფასების ცხრილის წარმოდგენა, ასევე, სატენდერო დოკუმენტაციის 2.1.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ფასების ცხრილში მიუთითებლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდეტის დისკვალიფიკაციას.“

- <u>SPA 170006310; SPA 170006868; NAT170012630 ; SPA170005892</u> ტენდერების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარჯვებულებისათვის გაგზავნილ წერილში, რომელთა შინაარსიც ითვალისიწინებდა ხელშეკრულების გასაფორმებლად მოწვევას არ განემარტათ, დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში რა დამატებითი დოკუმენტების წარდგენა იყო სავალდებულო, რაც როგორც წესი სხვა ტენდერების შემთხვევაში ხდებოდა.

ნაწილი III

2017 წლის საგადასახადო რისკების აუდიტი

9. გადასახადების აღრიცხვისა და დეკლარირების სისწორის დადგენა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) 30-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირი„საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზია და რადიო“ წარმოადგენს ორგანიზაციას. შესაბამისად, იგი არის სსკ-ით დადგენილი გადასახადების გადამხდელი.

აუდიტის მიზანია დაადგინოს დაცული იყო თუ არა სსკ-ის მოთხოვნები „ორგანიზაციის“ მიერ გადასახადების გაანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის პროცესში.

„ორგანიზაციის“ ძირითადი და დამხმარე საქმიანობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი არის, მოგების გადასახადის, დამატებული ღირებულების გადასახადის, ქონების გადასახადის გადამხდელი.

საგადასახადო მიმოხილვა განხორციელდა აუდირების პერიოდში მოქმედი სსკ-ის მიხედვით „ორგანიზაციის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ჩვენს მიერ შემოწმდა 2017 წლისათვის შემდეგი გადასახადები: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ, საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი.

ჩვენი მიმოხილვა მოიცავდა:

- საუბრებს პასუხისმგებელ პერსონალთან დაბეგვრის მიმართ პოლიტიკასა და მიდგომებთან დაკავშირებით;
- საბუღალტრო ჩანაწერებისა და დეკლარაციების სიზუსტის მიმოხილვა;
- სახაზინო და საბანკო ანგარიშების შესწავლა;
- ფინანსური და საგადასახადო ბაზების შედარება;
- ერთობლივი შემოსავლის ფორმირების შესწავლა;
- მომსახურების მიღებასა და გაწევასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების შერჩევითი მიმოხილვა;
- გამოსაქვითი ხარჯების მიზნობრიობა და შესაბამისობა სსკ-ის მოთხოვნებთან მიმართებაში;
- გამოუქვითავი ხარჯების მიმოხილვა;
- ქონების გადასახადით დასაბეგრი ძირითადი საშუალებების შესწავლა და ქონების გადასახადისაგან განთავისუფლების შესაბამისობის შესწავლა სსკ-ის მოთხოვნებთან;
- ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების აღიცხვა საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით;
- მიღებული და გამოწერილი დღგ-ის ანგარიშფაქტურების მიმოხილვა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე;
- შრომის ანაზღაურებისა და მასთან დაკავშირებული დაბეგვრის მიმოხილვა;

არარეზიდენტი პირების შემოსავლებზე დარიცხული უკუდაბეგვრის დღგ-ისა და საშემოსავლო გადასახადის შემოწმება;

10. მოგების გადასახადი

„ორგანიზაციის“ ერთობლივ შემოსავალს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, შემოსავლები რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება „ორგანიზაციის“ მიერ არ არის შეტანილი მოგების გადასახადით დასაბეგრ ერთობლივ შემოსავალში.

„ორგანიზაციის“ დასაბეგრი ერთობლივი შემოსავალი შედგება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და იმ შემოსავლებისაგან, რომლებიც არ არისდაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან.

„ორგანიზაცია“ საგადასახადო მიზნებისათვის იყენებს აქტივების სრულად გამოქვითვის მეთოდს სსკ-ის 112-ე მუხლის შესაბამისად.

ორგანიზაციან საანგარიშგებო წელს მიიღო ზარალი - 8,877 ლარის ოდენობით. დეკლალირებულ მონაცემებსა და აუდიტის მონაცემებს შორის არსებითი სხვაობა არ გამოვლენილა. მოგების გადასახადთან დაკვშირებული მონაცემები მოცემულია დანართში №1.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
მოგების გადასახადის გაანგარიშება - 2017 წელი

დანართი №1

მაჩვენებელი			წარდგენილი დეკლარაციით	შემოწმებით მონაცემებით	სხვაობა (+/-)
ერთობლივი შემოსავალი (უჯრა 2+3-4+5)		1	158,288.88	158,288.88	-
შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან		2	158,288.88	158,288.88	-
შემოსავლის დასახელება	შემოსავალი საკონლის რეალიზაციიდან	2.1	158,288.88	158,288.88	-
	შემოსავალი მომსახურეობიდან	2.2	-	-	-
	რეალიზებული ძირითადი საშუალების ღირებულება	2.3	-	-	-
შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან		3	-	-	-
შემოსავლის დასახელება	საპროცენტო შემოსავლები	3.1	-	-	-
	დადებითი საკურსო სხვაობა მიწოდების დროს	3.2	-	-	-
საწყისი სასაქონლო მატერიალური ფასეულობა		4	-	-	-
საბოლოო სასაქონლო მატერიალური ფასეულობა		5	-	-	-
გამოქვითვები ერთობლივი შემოსავლიდან (სტრ.7+სტრ.20 ჩათვლით)		6	167,165.79	167,165.79	-
ხელფასის სახით განაცემები		7	68,368.38	68,368.38	-
შეძენილი საქონელი, მასალები და ნედლეული		8	-	-	-
ელ-ენერგია		9	-	-	-
ამორტიზაცია		10	343.76	343.76	-
სრულად გამოქვითული 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები		11	6,989.08	6,989.08	-
ძირითად საშუალებათა რემონტი		12	-		-

კრედიტისათვის გადახდილი პროცენტები	13	-	-	-
სრულად გამოქვითული ძირითადი საშუალების ღირებულება (ს.კ. 183. 13)	14	47,944.12	47,944.12	-
სარეზერვო ფონდებში გადარიცხვები	15	-	-	-
სადაზღვევო ხარჯები	16	-	-	-
სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო და საცდელ საკონსტრუქტორო მომსახურეობის ხარჯები	17	-	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	18	-	-	-
შეძენილი მომსახურეობა გარდა სხვა სტრიქონებში ასახულისა	19	-	-	-
გამოქვითვას დაქვემდებარებული სხვა ხარჯები (ფორმა #2-ის მე-20 სტრიქონი)	20	43,520.45	43,520.45	0
ხარჯების დასახელება: სხვადასხვა ხარჯი ხარჯი 7190	20.1	43,520.45	43,520.45	
	20.2	-	-	-
	20.3	-	-	-
გამოქვითვას დაქვემდებარებული საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობის თანხები	21	-	-	-
სულ გამოქვითვები (სტრ.6+სტრ.21)	22	167,166	167,166	0
მოგება (სტრ.1-სტრ.22)	23	0	0	0
ზარალი, რომელიც გადაიტანება მომდევნო პერიოდში (სტრ.6-სტრ.1)	24	8,877	8,877	0
გამოქვითვას დაქვემდებარებული წინა წლების ზარალი	25	-	-	-
მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებული მოგება	26	-	-	-
დასაბეგრი მოგება (სტრ.23-სტრ.25-სტრ.26)	27	0	0	0
გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე	28	0	0	0
გადახდის წყაროსთან დაკავებული და გადახდილი გადასახადი	29	-	-	-
საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი გადასახადის თანხა	30	-	-	-
29-ე და 30-ე სტრ. ჯამი	31	0	0	0
გადასახდელი თანხა საანგარიშო პერიოდისათვის (სტრ.28-სტრ.31)	32	0	0	0
საანგარიშო პერიოდში შესამცირებელი თანხა (სტრ.31-სტრ.28)	33	0	0	0
დამატებით დასარიცხია(+) ან შესამცირებელია(-)	34	X	X	0
ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლით	35	X	X	0
ჯარიმა სსკ-ის 274-ე მუხლით	36	X	X	0
ჯარიმა სსკ-ის 291-ე მუხლით	37	X	X	0
დამატებით დასარიცხი მოგების გადასახადიდან გაანგარიშებული მიმდინარე(საავანსო) გადასახდელები	38	X	X	0
1 *---------* წლის 15 მაისი	39	X	X	0
2 *----------* წლის 16 ივლისი	40	X	X	0
3 *----------* წლის 17 სექტემბერი	41	X	X	0
4 *----------* წლის 17 დეკემბერი	42	X	X	0
მოგების გადასახადიდან გაანგარიშებული საავანსო გადასახდელების შემცირება	43	X	X	0
5 *----------* წლის 31 მარტი	44	X	X	0

11. საშემოსავლო გადასახადი

„ორგანიზაციის“ მიერ გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ძირითადად შემდეგი განაცემები:

- ხელფასის სახით და მასთან გათანაბრებული განაცემები;
- გადასახადის გადამხდელის მოწმობის არ მქონე რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე მომსახურების გაწევისათვის გაცემული ანაზღაურება;
- არარეზიდენტების მიერ გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება.

„ორგანიზაციას“ ხელფასისა და მასთან გათანაბრებული განაცემების სახით სულ საანგარიშო წლის განმავლობაში გაცემული აქვს 4,350,770.33 ლარი. ჩვენს მიერ დეტალურად შემოწმდა აღნიშნული მონაცემების სიზუსტე, მოხდა შედარება სახაზინო გადარიცხვებთან. სხვაობა არ გამოვლენილა. ორგანიზაციის მიერ გადახდის წყაროსთან იბეგრება ფიზიკურ პირთა (რომლებიც არ არიან რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელებად) მიერ გაწეული მომსახურებები, რომლებიც ჯამურად შეადგენს - 91,852.07 ლარს

„ორგანიზაციას“ მომსახურებას უწევენ არარეზიდენტი პირები. მათ მომსახურებაზე ჯამურად გადახდილია - 303,000.14 ლარი. აღნიშნული განაცემი დაბეგრილია სსკ-ის 134 მუხლის შესაბამისად გადახდის წყაროსთან. არარეზიდენტების მომსახურებისათვის განაცემი დაბეგრილია 10%-იანი განაკვეთით.

შედეგი: „ორგანიზაციის“ მიერ დეკლალირებულ და აუდიტის შედეგად განსაზღვრულ საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ ბაზებს, შორის სხვაობა არ გამოვნლენილა (იხ. დანართი №2), „ორგანიზაციის“ პირადი ბარათის (RS.GE) მონაცემების შემოწმების შედეგად დადგინდა რომ დეკლალირება და გადასახადის გადახდა განხორციელებულია სსკ-ით დადგენილ ვადებში

შედეგად სსკ-ის 274-ე და 275-ე მუხლებით გათვალისწინებული ჯარიმები და საურავები არ დარიცხულა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნულ გადასახადში საგადასახადო რისკი არ ფიქსირდება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშება - 2017 წელი

დანართი №2

საანგარიშო პერიოდი (თვე)		დეკლარაციით							შემოწმებით							დასაბუნები დასაბუნები გადასახადი	ეკონომ სუ 275-ე მუხლით	ეკონომ სუ 274-ე მუხლით
		დეკლარაციით მოგებაზე ფიზიკურ პირებზე გაცემული ხელფასი და მასთან გათანაბრებული კანონები	გადასახადის გადამხდელის მიერ ფიზიკურ პირებზე ფიზიკურ პირებზე აკრედიტებული გაცემული ანაზღაურება (სარგებელი) გარდა პროდუქტებისა	ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები	ფიზიკურ პირებზე გაცემული დღიურებელები და პროდუქტები	ფიზიოლოგიურ პირებზე გაცემული (4%)	ფიზიოლოგიურ პირებზე გაცემული (10%)	სულ გადასახადის თანხა	დეკლარაციით მოგებაზე ფიზიკურ პირებზე ხელფასი და მასთან გათანაბრებული კანონები	გადასახადის გადამხდელის მიერ ფიზიკურ ფიზიკურ ფიზიკურ ანაზღაურება (სარგებელი) გარდა პროდუქტებისა	ფიზიკურ პირებზე ფიზიკურ ანაზღაურებული გაცემული ანაზღაურება	ფიზიკურ პირებზე გაცემული დღიურებელები და პროდუქტები	ფიზიოლოგიურ ანაზღაურებულ გაცემული (4%)	ფიზიოლოგიურ ანაზღაურებულ გაცემული (10%)	სულ გადასახადის თანხა			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	13	14	15	16	17	18
2017	01	359,874.25	7,479.66	1,965.00	-	-	37,303.64	77,201.15	359,874.25	7,479.66	1,965.00	-	-	37,303.64	77,201.15	-	-	-
	02	351,167.51	20,011.82	1,965.00	-	-	41,220.73	78,357.94	351,167.51	20,011.82	1,965.00	-	-	41,220.73	78,357.94	-	-	-
	03	338,556.37	16,177.84	2,772.05	-	-	34,957.93	74,442.64	338,556.37	16,177.84	2,772.05	-	-	34,957.93	74,442.64	-	-	-
	04	342,519.88	7,537.02	1,187.50	-	-	7,900.70	70,801.45	342,519.88	7,537.02	1,187.50	-	-	7,900.70	70,801.45	-	-	-
	05	345,688.44	1,365.83	1,935.00	-	-	40,787.17	73,489.57	345,688.44	1,365.83	1,935.00	-	-	40,787.17	73,489.57	-	-	-
	06	344,237.05	6,762.83	1,575.00	-	-	16,702.42	71,870.22	344,237.05	6,762.83	1,575.00	-	-	16,702.42	71,870.22	-	-	-
	07	358,015.71	3,094.28	900.00	-	-	16,229.33	73,844.93	358,015.71	3,094.28	900.00	-	-	16,229.33	73,844.93	-	-	-
	08	345,729.13	1,449.33	900.00	-	-	16,652.06	71,100.90	345,729.13	1,449.33	900.00	-	-	16,652.06	71,100.90	-	-	-
	09	363,062.00	2,921.91	900.00	-	-	17,387.14	74,935.50	363,062.00	2,921.91	900.00	-	-	17,387.14	74,935.50	-	-	-
	10	365,872.10	3,974.77	1,150.00	-	-	23,236.28	76,293.00	365,872.10	3,974.77	1,150.00	-	-	23,236.28	76,293.00	-	-	-
	11	432,015.08	1,235.71	550.00	-	-	23,632.97	89,013.46	432,015.08	1,235.71	550.00	-	-	23,632.97	89,013.46	-	-	-
	12	404,032.81	19,841.07	800.00	-	-	26,989.77	87,473.75	404,032.81	19,841.07	800.00	-	-	26,989.77	87,473.75	-	-	-
ჯამი		**4,350,770.33**	**91,852.07**	**16,599.55**	**-**	**-**	**303,000.14**	**918,824.49**	**4,350,770.33**	**91,852.07**	**16,599.55**	**-**	**-**	**303,000.14**	**918,824.49**	**-**	**-**	**-**

საქართველო, თბილისი, აკ.წერეთლის გამ 95ა დ.ბაქრაძის ქ. #6.ტელ:2 35 25 12; E-mail:compaudi@hotmail.com

12. დამატებული ღირებულების გადასახადი

ორგანიზაცია დამატებული ღირებულების (დღგ) გადამხდელად რეგისტრირებულია 2014 წლის 09 ივლისიდან.

„ორგანიზაციას“ გააჩნია როგორც დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები ასევე დღგ-ისაგან განთავისუფლებული შემოსავლებიც. დღგ - ით დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს - 133,343 ლარს.

დღგ - ისაგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლებული ოპერაციების ჯამური ღირებულება შეადგენს - 19,155.

შედეგი: „ორგანიზაციის“ მიერ დეკლარირებულ და აუდიტის შედეგად განსაზღვრულ დღგ - ით დასაბეგრ ბრუნვებსა შორის სხვაობა არ გამოვლენილა. იხ. დანართი №3:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“
დამატებული ღირებულების გადასახადი - 2017 წელი

დანართი №3

თვე, წელი	დეკლარაციით						შემოწმებით								
	დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებული ბრუნვა	18% დასაბეგრი ბრუნვა	უკუდაბეგვრის დღგ	დასაბეგრ ბრუნვაზე გაანგარიშებული დღგ	ჩასათვლელი დღგ	ეკუთვნის (+) ბიუჯეტიდან (-) ბიუჯეტიდან	დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებული ბრუნვა	18% დასაბეგრი ბრუნვა	უკუდაბეგვრის დღგ	დასაბეგრ ბრუნვაზე გაანგარიშებული დღგ	ჩასათვლელი დღგ	ეკუთვნის (+) ბიუჯეტიდან (-) ბიუჯეტიდან	სხვაობა გადასახადში (+) დარიცხვა, (-) შემცირება	ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლით	ჯარიმა სსკ-ის 274-ე მუხლით
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
იანვარი	19,150	6,269.78	41,531.57	8,604.24	0.00	8,604.24	19,150	6,269.78	41,531.57	8,604	0.00	8,604	0.00	-	-
თებერვალი	0.00	7,540.90	40,970.73	8,732.09	0.00	8,732.09	0	7,540.90	40,970.73	8,732	0.00	8,732.09	0.00	-	-
მარტი	0.00	8,829.30	41,721.83	9,099.20	0.00	9,099.20	0.00	8,829.30	41,721.83	9,099	0.00	9,099.20	0.00	-	-
აპრილი	4.21	6,269.77	6.135.63	2,232.97	0.00	2,232.97	4.21	6,269.77	6,135.63	2,233	0.00	2,232.97	0.00	-	-
მაისი	0.00	10,266.63	35,116.89	8,169.03	0.00	8,169.03	0.00	10,266.63	35,116.89	8,169	0.00	8,169.03	0.00	-	-
ივნისი	0.00	15,329.10	16,452.42	5,720.67	0.00	5,720.67	0.00	15,329.10	16,452.42	5,721	0.00	5,720.67	0.00	-	-
ივლისი	0.00	9,238.47	15,979.33	4,539.20	0.00	4,539.20	0.00	9,238.47	15,979.33	4,539	0.00	4,539.20	0.00	-	-
აგვისტო	0.00	6,636.24	16,402.06	4,146.89	0.00	4,146.89	0.00	6,636.24	16,402.06	4,147	0.00	4,146.89	0.00	-	-
სექტემბერი	0.70	10,771.86	17,137.14	5.023.62	0.00	5,023.62	0.70	10,771.86	17,137.14	5,024	0.00	5,023.62	0.00	-	-
ოქტომბერი	0.00	9,191.38	22,986.28	5,791.98	0.00	5,791.98	0.00	9,191.38	22,986.28	5,792	0.00	5.791.98	0.00	-	-
ნოემბერი	0.00	34,420.94	23,382.97	10,404.70	0.00	10,404.70	0.00	34,420.94	23,382.97	10,405	0.00	10,404.70	0.00	-	-
დეკემბერი	0.00	8,578.72	26,739.77	6,357.33	0.00	6,357.33	0.00	8,578.72	26,739.77	6,357	0.00	6,357.33	0.00	-	-
ჯამი	19,155	133,343	304,556.62	78,822	0.00	78,822	19,155	133,343	304,556.62	78,822	0.00	78,822	0.00	0.00	0.00

12.1. უკუდაბეგვრის დღგ

ორგანიზაციას სხვადასხვა სახის მომსახურებებს არარეზიდენტი ფირმები უწევენ, რომელთა მომსახურებაც ექვემდებარება უკუდაბეგვრის წესით დღგ - ით დაბეგვრას. უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს - 304,556.62ლარს.

უკუდაბეგვრის წესით დღგ - ის დასაბეგრი ბაზა ფორმირებულია შემდეგი მომსაურებებით:

- გრაფიკული ნამზადის მიწოდება;
- ლიცენზიები;
- რადიოს ინტერნეტმაუწყებლობის მომსახურება;
- სხვა მომსახურება

შედეგი: ჩვენს შერჩევით გადავამოწმეთ „ორგანიზაციის" მიდგომები აღნიშნული გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით, რომელიც თანხვედრაშია სსკ - ის მოთხოვნებთან. „ორგანიზაციის" მიერ დეკლარირებულ და აუდიტის შედეგად განსაზღვრულ დღგ - ით დასაბეგრ ბრუნვებს შორის სხვაობა არ გამოვლენილა.

13. ქონების გადასახადი

აუდიტის პროცესში დადგინდა, რომ „ორგანიზაცია“ არის ქონების გადასახადის (მათ შორის მიწაზე გადასახადის) გადამხდელი.

ქონების გადასახადით იბეგრება „ორგანიზაციის“ ის ქონება, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის. ქონების გადასახადი გამოინგარიშება როგორც ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონების საშუალო წლიური ღირებულების 1%, რაც შეადგენს 1,348.88 ლარს. ქონების გადასახადის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში №4:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
ქონების გადასახადი - 2017 წელი

დანართი №4

№		საანგარიშო წელი 2017			სულ 2017 წელი
ტერიტორიული ერთეული	გადამხდელის მონაცემებით	ბათუმი			
	შემოწმების მონაცემებით	ბათუმი			
	+ -				
ქონების ღირებულება	გადამხდელის მონაცემებით	134887.84			134887.84
	შემოწმების მონაცემებით	134887.84			134887.84
	+ -	0			0
ქონების ღირებულება შეღავათის გათვალისწინებით	გადამხდელის მონაცემებით	134887.84			134887.84
	შემოწმების მონაცემებით	134887.84			134887.84
	+ -	0			0
საგადასახადო შეღავათის საფუძველი	გადამხდელის მონაცემებით	134887.84			134887.84
	შემოწმების მონაცემებით	134887.84			134887.84
	+ -	0			0
გადასახადის განაკვეთი	გადამხდელის მონაცემებით	1%			1%
	შემოწმების მონაცემებით	1%			1%
	+ -	0			0
ქონების გადასახადი	გადამხდელის მონაცემებით	1,348.88			1,348.88
	შემოწმების მონაცემებით	1348.88			1348.88
	+ -	0			0
დამატებით დასარიცხია (+) შესამცირებელია (-) ძირითადი გადასახადი		0			0
ჯარიმა 274-ე მუხლით		0			0
ჯარიმა 275-ე მუხლით		0			0
ექვემდებარება დამატებით დარიცხვას .... წლის ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახადელები		0			0
შენიშვნა		-			

„ორგანიზაცია“ ფლობს არასასოფლო-სამეურნეო მიწას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ მუნიციპალიტეტებში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიწაზე გადასახადი გამოთვლილია სსკ-ის 204-ე მუხლის შესაბამისად. მიწაზე გადასახადმა საანგარიშო წელს შეადგინა 34,43 ლარი. დეკლალირებულ და აუდიტის მონაცემებს შორის სხვაობა არ დაფიქსირებულა. მიწაზე გადასახადის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში №5

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
ქონების (მიწა) გადასახადი - 2017 წელი

დანართი №5

№		საანგარიშო წელი 2017			სულ 2017 წელი
მიწის ნაკვეთის მდებარეობა	გადამხდელის მონაცემებით	აჭარა (ბათუმი, ქობულეთი,ხულო)	აჭარა ბათუმი ცენტრალური ზონა	კახეთი/ ლაგოდეხი/ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	-
	შემოწმების მონაცემებით	აჭარა (ბათუმი, ქობულეთი,ხულო)	აჭარა ბათუმი ცენტრალური ზონა	კახეთი/ ლაგოდეხი/ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	-
	+ -	-	-	-	-
სახეობა და კატეგორია	გადამხდელის მონაცემებით	არასოფლო - სამეურნეომიწა	არასოფლო - სამეურნეო მიწა	არასოფლო - სამეურნეო მიწა	-
	შემოწმების მონაცემებით	არასოფლო - სამეურნეო მიწა	არასოფლო - სამეურნეო მიწა	არასოფლო - სამეურნეო მიწა	-
	+ -	-	-	-	-
მიწის ფართობი (ჰა/მ.კვ)	გადამხდელის მონაცემებით	112.3	19.82	18	150.12
	შემოწმების მონაცემებით	112.3	19.82	18	150.12
	+ -	-	-	-	-
მიწის ფართობი შედავათის გათვალისწინებით	გადამხდელის მონაცემებით	112.3	19.82	18	150.12
	შემოწმების მონაცემებით	112.3	19.82	18	150.12
	+ -	-	-	-	-
გადასახადის განაკვეთი	კოეფიციენტი	24.00%	31.18%	7.22%	-
	კოეფიციენტი	24.00%	31.18%	7.22%	-
	+ -	-	-	-	-
ქონების გადასახადი	გადამხდელის მონაცემებით	34.43			-
	შემოწმების მონაცემებით	34.43			-
	+ -	0			-
დამატებით დასარიცხია (+) შესამცირებელია (-) ძირითადი გადასახადი		0			-
ჯარიმა 274-ე მუხლით		0			-
ჯარიმა 275-ე მუხლით		0			-
ექვემდებარება დამატებით დარიცხვას .... წლის ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახადელები		0			-
შენიშვნა		-			

14. სახელმწიფო აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევები, რეკომენდაციები და მათი შესრულების მდგომარეობა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზია და რადიო“ 2016 წელს შემოწმებული იქნა სახელმწიფო აუდიტის მიერ. შემოწმების პერიოდი მოიცავდა 01.01.2015 წ – 31.12.2016 წ პერიოდს. შემოწმების დროს გამოვლინდა დარღვევები. სახელმწიფო აუდიტის მიერ „ორგანიზაციას“ მიეცა რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად. დარღვევები ძირითადად შეეხებოდა სახელმწიფო შესყიდვებს, საწვავის ხარჯვასა და მივლინებებს. დარღვევების აღმოსაფხვრელად სულ გაცემულია 10 რეკომენდაცია:

1. *სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც შემდგომში აღმოფხვრის სატენდერო წინადადების შეუსაბამოდ აქტივების შეძენას;*
2. *დაქირავებულ სატრანსპორტო საშუალებებზე ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით, გონივრულ ვადაში შემუშავდეს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, უზრუნველყოფილი იქნას ხარჯების დანიშნულებისამებრ გაწევის მტკიცებულებულებათა იდენტიფიცირება და საბუღალტრო დოკუმენტებში ასახულ მონაცემებთან ურთიერთშესაბამისობა;*
3. *სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით გაძლიერდეს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის პრეტენდენტთა არაერთგვაროვან მიდგომას;*
4. *ანალოგიური დარღვევის შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და ყველა თანამშრომლისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემა განხორციელდეს ერთგვაროვნად, კანონის შესაბამისად;*
5. *აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობამ, ანალოგიური დარღვევის შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, გააძლიეროს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის კანონშეუსაბამოდ შესყიდვის განხორციელებას და პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვას;*
6. *ანალოგიური ნაკლოვანების შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს საკორესპონდენტო პუნქტებში დასაქმებულ პირთა მიერ გაწეული საქმიანობის, უსასყიდლოდ გაცემული საწვავის დანიშნულებისამებრ ხარჯვის და თანამშრომელთა მივლინების აუცილებლობის იდენტიფიცირებას;*
7. *აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობამ, გააძლიეროს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის ერთი და იმავე პირობებში აქტივებისშესყიდვის არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელებას, არასათანადო მტკიცებულებით აქტივების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრას და შესყიდვის კონკრეტულ პრეტენდენტზე შესაძლო უპირატესობის მინიჭებას;*
8. *დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომ შემდგომში სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების მიმწოდებელზე გადახდა განხორციელდეს სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების პირობებში;*
9. *აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, რომ შერჩევის ეტაპზე აღმოიფხვრას, პრეტენდენტის მიერ წარმოდეგნილი მონაცემების სატენდერო წინადადებასთან შეუსაბამობის პირობებში გამარჯვებულის გამოვლენა;*
10. *მიმწოდებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გონივრულ ვადაში იმსჯელონ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებასთან დაკავშირებით.*

ჩვენს მიერ აუდიტის პერიოდში განსაკუთრებით იქნა გამახვილებული ყურადღება სახელმწიფო აუდიტის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე. კერძოდ:

- სრულყოფილად შევისწავლეთ 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან და სხვა საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობა. შედეგები მოცემულია წინამდებარე აუდიტორული დასკვნის მე-8 პარაგრაფში (8. 2017 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონთან შესაბამისობის სისწორის დადგენა);
- შერჩევით შემოწმდა სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გამოყოფის შესაბამისობა ორგანიზაციის მიერ დადგენილ ლიმიტებთან, დადგენილი ლიმიტების გონივრულობა, საწვავის ხარჯვის ლიმიტის დაცვა. ჩვენს მიერ შემოწმებულ დოკუმენტაციაში ხარვეზები არ აღმოჩენილა;
- შემოწმდა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებაში მყოფი თანამშრომებისათვის მივლინების თანხების ანაზღაურების კანონიერება. შემოწმება განხორციელდა შერჩევით. ჩვენს მიერ შემოწმებული მივლინების ხარჯების ასანაზღაურებლად შესწავლილი დოკუმენტაცია სრულყოფილია, ყოველდღიური ხარჯების ანაზღაურება განხორციელებულია „დაქირავებულთათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების თანახმად.

ჩვენ ასევე მოვიძიეთ უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია. „ორგანიზაციას“ შესაბამისი გრაფიკის მიხედვით შესრულებული აქვს ყველა რეკომენდაცია, რომლის შესახებაც ოფიციალურად ეცნობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სპეციალური ფორმით.

დირექტორი: /ბ.ბერაძე, (სერტიფიკატი ზოგადა უდიტში №5/568)/

აუდიტორი: /ნ. ებანოიძე, (საჯარო აუდიტის სერთიფიკატი №0245)/

საქართველო, თბილისი, აკ.წერეთლის გამ 95ა დ.ბაქრაძის ქ. #6.ტელ:2 35 25 12; E-mail:compaudi@hotmail.com
გვერდი 33-33